საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ი თ ი ს ა ბ ჭ ო

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა № 07-01/30

ქ. ბათუმი 15 ივლისი, 2021წ.

ბსუ-ს ზოგიერთი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთათვის (2011-2012 სასწავლო წლიდან ჩარიცხული პირები) ზედმეტად გადახდილი სწავლის საფასურის დაბრუნების საორგანიზაციო ღონისძიებების შესახებ

,,ბსუ-ს ზოგიერთ სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის წლიური საფასურის 2250 ლარამდე შემცირების შესახებ“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2021 წლის 16 თებერვლის N07-01/11 გადაწყვეტილებით სწავლის წლიური საფასური შემცირდა და განისაზღვრა 2250 ლარამდე ოდენობით ბსუ-ს იმ სამაგისტრო პროგრამებზე, რომლებზეც ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ წინა სასწავლო წლებში (2017-2018 სასწავლო წლიდან) გამოცემული სამართლებრივი აქტებით (მაგისტრატურის პროგრამების ანკეტა-კითხვარებით; ხელახალი აკრედიტაციისათვის პროგრამის დამტკიცებისა და სწავლის საფასურის განსაზღვრის შესახებ გადაწყვეტილებებით) განისაზღვრა სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის თანხის ოდენობაზე მეტით (2750 ლარით).

,,ბსუ-ს ზოგიერთ სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის წლიური საფასურის 2250 ლარამდე შემცირების შესახებ“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2021 წლის 16 თებერვლის N07-01/11 გადაწყვეტილების საფუძველზე გამოიცა ,,ბსუ-ს ზოგიერთი სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებთან დადებულ ხელშეკრულებებში ცვლილების შეტანის ორგანიზების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 1 მარტის N 01-02/34 ბრძანება, რომლის თანახმად, გადაწყვეტილების მიღების დროისათვის ბსუ-ს სამაგისტრო პროგრამების (,,სამართალი“ ,,ბიზნესის ადმინისტრირება“, ფინანსები და საბანკო საქმე“ და ,,ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი“) აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტებთან, რომლებსაც არ დაუსრულებიათ სწავლა ბსუ-ში, დადებულ ხელშეკრულებებში ეტაპობრივად შედის ცვლილებები (ფორმდება შეთანხმებები) და ზედმეტად გადახდილი სწავლის საფასური (ასეთის არსებობის შემთხვევაში), მათივე წერილობითი მოთხოვნით, ჩაეთვლებათ მიმდინარე ან/და მომდევნო სემესტრის სწავლის საფასურში ან დაუბრუნდებათ, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანების საფუძველზე.

,,ბსუ-ს ზოგიერთ სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის წლიური საფასურის 2250 ლარამდე შემცირების შესახებ“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2021 წლის 16 თებერვლის N07-01/11 გადაწყვეტილება და ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 1 მარტის N 01-02/34 ბრძანება განთავსდა ბსუ-ს ვებგვერდზე და შესაბამისი ფაკულტეტების მიერ ეცნობა სტუდენტებს (მათი ინფორმირება განხორციელდა სამართლებრივი აქტების საჯარო გამოცხადების გზით, ასევე სტუდენტური პორტალის მეშვეობით).

ბსუ-ს სტუდენტთა უმრავლესობამ, რომლებსაც ჯერ კიდევ არ დაუსრულებიათ სწავლა ბსუ-ს ზემოაღნიშნულ პროგრამებზე, 2021 წლის თებერვლის ბოლოდან დაიწყეს განცხადებების წარმოდგენა (ზედმეტად გადახდილი სწავლის საფასურთან დაკავშირებით, მიმდინარე სემესტრის სწავლის საფასურში ჩათვლის თაობაზე, ან/და უკან დაბრუნების მოთხოვნით). 2021 წლის 9 ივლისის მდგომარეობით სულ შემოვიდა 74 აქტიური სტუდენტის სტატუსის მქონე პირთა განცხადება, რომელთა განხილვა და დაკმაყოფილება ხორციელდება ეტაპობრივად, ნაწილს უკვე დაუბრუნდა ზედმეტად გადახდილი სწავლის საფასური, ხოლო ნაწილის მიმართ შესაბამისი სამართლებრივი აქტების მოსამზადებლად მიმდინარეობს საქმისწარმოება (სტუდენტებთან ფაკულტეტების დეკანების ოფისების ორგანიზებით გაფორმებული შეთანხმებების შესაბამისად).

ზედმეტად გადახდილი სწავლის საფასურის დაბრუნების მოთხოვნით 2021 წლის 9 ივლისის მდგომარეობით წარმოდგენილია სამაგისტრო პროგრამების 271 კურსდამთავრებულის განცხადება. ამ პირთა ნაწილი ჩარიცხულია ბსუ-ში 2017-2018 სასწავლო წლიდან, ხოლო ნაწილი - 2011-12 სასწავლო წლიდან 2016-2017 სასწავლო წლის ჩათვლით პერიოდში. მათ ბსუ-ს საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის მიერ შესაბამის წლებში დაერიცხათ სწავლის წლიური საფასური 2250 ლარზე მეტი ოდენობით.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 23 თებერვლის ბრძანების №152786 თანახმად ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწყებული იქნა ბსუ-ს მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგი. 2021 წლის 4 მარტს დისტანციურად, Zoom - ის პროგრამის მეშვეობით, ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ინტერვიუ ბსუ-ს და ფაკულტეტების მართვის ორგანოებთან, დამხმარე სტრუქტურულ ერთეულებთან და სტუდენტებთან. 2021 წლის 29 აპრილს ბსუ-ში წარმოდგენილ ექპერტთა საბოლოო დასკვნის თანახმად ავტორიზაციის 5.1. სტანდარტთან მიმართებით, რომელიც მოიცავს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილების, განათლების აღიარების წესისა და სტუდენტთა უფლებების საკითხებს, უნივერსიტეტს მიეცა შემდეგი რეკომენდაციები: 1. ,,განისაზღვროს კონკრეტული ფორმალური გეგმა კურსდამთავრებულთა მიერ ზედმეტად გადახდილი სწავლის საფასურის უკან დაბრუნების საკითხთან დაკავშირებით და უზრუნველყოფილ იქნას კურსდამთავრებულთა სათანადოდ ინფორმირება; 2. უზრუნველყოფილი იქნეს სტუდენტთა მიერ ზედმეტად გადახდილი სწავლის საფასურის უკან დაბრუნების უკვე შემუშავებული გეგმის რისკების შეფასება, მისი განხორციელება, მონიტორინგი და სტუდენტთა ინფორმირება; 3. ,,შესწავლილ იქნას 2011-2016 წლებში მაგისტრატურის საფეხურზე ჩარიცხულ სტუდენტთა მიერ ზედმეტად

გადახდილი სწავლის საფასურის უკან დაბრუნების საკითხი, რისკების გათვალისწინებით შემუშავებულ იქნას რეაგირების გეგმა და უზრუნველყოფილ იქნას მისი განხორციელების მონიტორინგი.“

ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნის თანახმად უნივერსიტეტს მიეცა რჩევა დროებითი კომისიის შექმნის თაობაზე, რომელიც შესაძლებელია დაკომპლექტდეს შესაბამისი პასუხისმგებელი პირებით და რომელიც უზრუნველყოფს ზედმეტად გადახდილი სწავლის საფასურის დაბრუნების პროცესზე მონიტორინგს.

ავტორიზაციის საბჭოს 2021 წლის 25 მაისს გამართულ სხდომაზე უნივერსიტეტმა განმარტა 2011-2012 სასწავლო წლიდან ჩარიცხული სტუდენტებისათვის შესაბამის სამაგისტრო პროგრამებზე სწავლის საფასურის 2250 ლარამდე შემცირების ფინანსური შესაძლებლობა (უნივერსიტეტის ანგარიშებზე არსებული ფულადი თანხის შესახებ საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტიდან წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე). ამავე სხდომაზე დასმულ კითხვებზე უნივერსიტეტმა ასევე განმარტა 2011-2016 სასწავლო წლებში ჩარიცხული პირების, დაახლოებით 412 კურსდამთავრებულის, ინფორმირების ღონისძიებებისა და მათთვის ზედმეტად გადახდილი სწავლის საფასურის დაბრუნების შესაძლებლობის შესახებ (უნივერსიტეტის სტუდენტური პორტალის, კურსდამთავრებულთა მონაცემთა ბაზები).

ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე უნივერსიტეტმა აღნიშნა, რომ ბსუ-ს 3 (სამ) სამაგისტრო პროგრამაზე („ბიზნესის ადმინისტრირება“, „ფინანსები და საბანკო საქმე“, „სამართალი“) სწავლის წლიური საფასური 2500 ლარის ოდენობით განისაზღვრა 2009-2010 წლიდან, სწავლის საფასურის განსაზღვრის შესახებ ერთიანი აქტით - წარმომადგენლობითი საბჭოს 2009 წლის 25 სექტემბრის N09 გადაწყვეტილებით. წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებებით პროგრამებზე სწავლის საფასურის ოდენობა (ტარიფი) ყოველწლიურად იცვლებოდა და ბოლოს განისაზღვრა წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 24 ივნისის N8 გადაწყვეტილებით. ამის შემდეგ 2011 წლის ივლისში ამოქმედდა „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 81-ე მუხლის მე-3 პუნქტში შეტანილი ცვლილება, რომლის თანახმად სახელმწიფო სამაგისტრო გრანტის ოდენობაზე (2250 ლარი) მეტით სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის საფასურის განსაზღვრა დასაშვები გახდა მხოლოდ საქართველოს მთავრობის თანხმობით (17.06.2011. №4792 კანონი ძალაში შევიდა გამოქვეყნებისთანავე - ვებგვერდი, 110706005, 06.07.2011, სარეგისტრაციო კოდი 430020000.05.001.016363).

ავტორიზაციის საბჭოს 2021 წლის 25 მაისის გადაწყვეტილებით გაზიარებული იქნა ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ ბსუ-ს მიმართ გაცემული რეკომენდაციები და უნივერსიტეტს განესაზღვრა 60-დღიანი ვადა ხარვეზის გამოსწორებისათვის, რაც გულისხმობს უნივერსიტეტის მხრიდან შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას, საქართველოს მთავრობის თანხმობის არარსებობის გამო ზოგიერთ სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის საფასურის სასწავლო სამაგისტრო გრანტის ოდენობამდე (2250 ლარი) შემცირებას, მათ შორის 2011-2012 სასწავლო წლიდან ჩარიცხული პირებისთვის. აღნიშნული პირები სამაგისტრო პროგრამებზე მისაღები გამოცდების დაწყებამდეც იყვნენ ინფორმირებული ბსუ-ს შესაბამის

პროგრამაზე სწავლის წლიური საფასურის ოდენობის შესახებ და ასევე მათთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში ასახული სწავლის წლიური საფასურის ოდენობა აღემატებოდა სამაგისტრო სასწავლო გრანტის თანხას (2250 ლარს).

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, წესდების მე–10 მუხლის, ,,2018-2019 სასწავლო წლისათვის ბსუ-ს მაგისტრატურაში მისაღები კონტინგენტის, სამაგისტრო პროგრამაზე ჩასაბარებელი შესაბამისი ტესტის ტიპის, მისაღები გამოცდების კოეფიციენტების და სწავლის საფასურის განსაზღვრის თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 15 თებერვლის N01 გადაწყვეტილების (საფუძველი: აკადემიური საბჭოს 2018 წლის 02 თებერვლის №7 დადგენილება), ,,საჯარო სამართლის იურიდული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ზოგიერთ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის საფასურის განსაზღვრის თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 26 მარტის N06 გადაწყვეტილების, ,,ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ზოგიერთი საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ -ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 3 აპრილის №40 დადგენილება (ამ პროგრამის ბიუჯეტების დამტკიცების ბრძანებები N01-11/47, 5.04.2018 და N01-11/48, 10.04.2018), ,,2019-2020 სასწავლო წლისათვის ბსუ-ს მაგისტრატურაში მისაღები კონტიგენტის, სამაგისტრო პროგრამაზე ჩასაბარებელი შესაბამისი ტესტის ტიპის, მისაღები გამოცდების კოეფიციენტების და სწავლის საფასურის განსაზღვრის თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 1 მარტის N07-01/03 გადაწყვეტილების (საფუძველი - აკადემიური საბჭოს 2019 წლის 06 თებერვლის №06-01/04 დადგენილება), ,,ბსუ-ს ტურიზმის ფაკულტეტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის („ტურიზმის მენეჯმენტი“) სწავლის საფასურის განსაზღვრის თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2020 წლის 11 მაისის №01-07/78 გადაწყვეტილების (საფუძველი - ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 02 აპრილის №06-01/25 დადგენილება), ,,ბსუ-ს იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე „სამართალი“ და საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე „სამართალმცოდნეობა“ სწავლის საფასურის განსაზღვრის თაობაზე” ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2020 წლის 19 ივნისის N07-01/80 გადაწყვეტილების (საფუძველი - ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 29 მაისის №06-01/29 დადგენილება და ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებები: 2020 წლის 3 ივნისის ბრძანებები: N01-10/59 და N01-10/60)), ,,2021–2022 სასწავლო წლისთვის ბსუ-ს მაგისტრატურაში მისაღები კონტინგენტის, სამაგისტრო პროგრამაზე ჩასაბარებელი შესაბამისი მისაღები გამოცდების კოეფიციენტების და სწავლის საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2021 წლის 18 იანვრის N06-01/02 დადგენილება (ცვლილება 2021 წლის 8 თებერვლის N06-01/08 დადგენილებით), ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2021 წლის 20 იანვრის N07-01/01 გადაწყვეტილების (ცვლილება -2021 წლის 8 თებერვლის N07-01/10 გადაწყვეტილებით), ბსუ-ს წერილი საქართველოს მთავრობას (MES 3 18 0000200629, 22.02.2018 წ.), ბსუ-ს წერილი საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს (N1220596, 22.12.2020), საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წერილი ბსუ-ს (MES 6 20 0001230544, 25.12. 2020), ბსუ-ს წერილი

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს (MES1210000043042, 29.01.2021წ), ბსუ-ს წერილი საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს (N75615, 08.02.2021წ), სამინისტროს საპასუხო წერილი ბსუ-ს (MES 9 21 0000090679, 10.02.2021წ), ,,ბსუ-ს ზოგიერთ სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის წლიური საფასურის 2250 ლარამდე შემცირების შესახებ" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2021 წლის 16 თებერვლის N07-01/11 გადაწყვეტილების, სასწავლო პროცესის დეპარტამენტის უფროსის სამსახურებრივი ბარათის (2021 წლის 24 თებერვლის N158911), სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2021 წლის 26 მარტის №291259 კორესპონდენციაზე ბსუ-ს საპასუხო წერილის (N317066, 02.04.2021წ,) ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის საბოლოო დასკვნის (N 453959, 19.05.2021 წ), ავტორიზაციის საბჭოს 2021 წლის 25 მაისის გადაწყვეტილების (60-დღიანი ვადა ხარვეზის გამოსწორების თაობაზე), იურიდიული დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის 2021 წლის 24 მაისის N484906, 2021 წლის 30 ივნისის N653050 და 12 ივლისის N695753 სამსახურებრივი ბარათების, იურიდიული დეპარტამენტის უფროსის 2021 წლის 12 ივლისის N701978 სამსახურებრივი ბარათის და წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. შევიდეს ცვლილება ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებზე 2011-2012 წლებისათვის სწავლის საფასურის ოდენობების განსაზღვრის თაობაზე'' ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 24 ივნისის N8 გადაწყვეტილებაში ბსუ-ს სამაგისტრო პროგრამების: ,,სამართალი", ,,ბიზნესის ადმინისტრირება" და ,,ფინანსები და საბანკო საქმე" ნაწილში და ნაცვლად 2500 ლარისა, 2011-2012 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან სწავლის წლიური საფასური განისაზღვროს 2250 ლარით.
2. 2250 ლარამდე სწავლის წლიური საფასურის შემცირების შესახებ წარმომადგენლობითი საბჭოს წინამდებარე გადაწვეტილება და 2021 წლის 16 თებერვლის N07-01/11 გადაწყვეტილება გავრცელდეს 2011-2012 სასწავლო წლიდან 2020-2021 სასწავლო წლებში ბსუ-ს სამაგისტრო პროგრამებზე: ,,სამართალი", ,,ბიზნესის ადმინისტრირება" და ,,ფინანსები და საბანკო საქმე" და ,,ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის" (2018-2019 სასწ. წლიდან) ჩარიცხულ ბსუ-ს სტუდენტებზე, რომლებმაც დაასრულეს სწავლა (კურსდამთავრებულები) ან სხვადასხვა მიზეზით შეუწყდათ სტუდენტის სტატუსი (შიდა/გარე მობილობით/პირადი განცხადებით ან სხვა).
3. ბსუ-ს სამაგისტრო პროგრამებზე: ,,სამართალი", ,,ბიზნესის ადმინისტრირება" და ,,ფინანსები და საბანკო საქმე" და ,,ტურიზმის და მასპინძლობის მენეჯმენტი" კურსდამთავრებულებს/სტატუსშეწყვეტილ პირებს (2011-2012 სასწავლო წლიდან ჩარიცხული პირები), რომლებსაც გადახდილი აქვთ ბსუ-ში სწავლის წლიური საფასური 2 250 ლარზე მეტი ოდენობით, ჩაეთვალოთ ზედმეტად გადახდილად და აღნიშნულთან დაკავშირებით განხორციელდეს შემდეგი ღონისძიებები:

ა) ბსუ-ს საფინანსო-ეკონომიკურმა დეპარტამენტმა უზრუნველყოს წინამდებარე გადაწყვეტილებისა და ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2021 წლის 16 თებერვლის N07-01/11 გადაწყვეტილების გათვალისწინებით კურსდამთავრებულზე/სტატუსშეწყვეტილებზე (2011-2012 სასწავლო წლიდან 2020-2021 სასწავლო წლის ჩათვლით) დარიცხული სწავლის საფასურის კორექტირება ან/და აღრიცხვა-ანგარიშგებასთან დაკავშირებული, კანონმდებლობით გათვალისწინებული ქმედებები;
ბ) კურსდამთავრებულებს/სტატუსშეწყვეტილებს, მათი წერილობითი განცხადებების შესაბამისად, დაუბრუნდეთ ზედმეტად გადახდილი სწავლის საფასური ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანების საფუძველზე (ეტაპობრივად, უფლებამოსილი პირის განცხადების წარმოდგენიდან არაუგვიანეს 2 თვის ვადაში, ხოლო კურსდამთავრებულთა/სტატუსშეწყვეტილთა მიერ წინამდებარე გადაწყვეტილების გამოტანამდე წარმოდგენილი განცხადებების საფუძველზე - არაუგვიანეს 2021 წლის სექტემბრისა);
გ) ბსუ-ს სასწავლო პროცესის დეპარტამენტმა (დიპლომების გაცემისა და რეესტრის სამსახურმა), შესაბამისი ფაკულტეტებიდან და საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტიდან მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე უზრუნველყოს ბსუ-ს სამაგისტრო პროგრამების („სამართალი“, „ბიზნესის ადმინისტრირება" და „ფინანსები და საბანკო საქმე" და „ტურიზმის და მასპინძლობის მენეჯმენტი“) კურსდამთავრებულთა/სტატუსშეწყვეტილ პირთა სიის წარდგენა ბსუ-ს რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელისათვის, არაუგვიანეს 2021 წლის 20 ივლისისა (სია შედგენილი იქნეს შემდეგი ინფორმაციის მითითებით: კურსდამთავრებულის/სტატუსშეწყვეტილის სახელი და გვარი; პირადი ნომერი; ბსუ-ში ჩარიცხვის/მობილობის აქტის თარიღი და ნომერი; დიპლომის გაცემის შესახებ რექტორის ბრძანების ნომერი და თარიღი/სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის ბრძანების ნომერი და თარიღი; გადახდილი სწავლის საფასურის ან ფინანსური დავალიანების შესახებ; შენიშვნის გრაფა, სხვა, დამატებითი ინფორმაციისათვის (არსებობის შემთხვევაში));
დ) ბსუ-ს კურსდამთავრებულთა/სტატუსშეწყვეტილთა განცხადებებისა და სასწავლო პროცესის დეპარტამენტიდან წარმოდგენილი სიის, ასევე ფაკულტეტიდან წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე, ზედმეტად გადახდილი სწავლის საფასურის დაბრუნების შესახებ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანების მომზადება ერთობლივად უზრუნველყონ საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტმა და ბსუ-ს იურიდიული დეპარტამენტმა (ამ სტრუქტურული ერთეულების უფროსების, სასწავლო პროცესის დეპარტამენტის/დიპლომებისა და რეესტრის სამსახურის, სტუდენტთა კარიერული განვითარებისა და კულტურის დეპარტამენტის, სასწავლო პროცესის მიმართულებით რექტორის მოადგილის ვიზირებით);
ე) ბსუ-ს რექტორის ბრძანებით შეიქმნას დროებითი კომისია (წინამდებარე პუნქტის „დ“ ქვეპუნქტში მითითებული სტრუქტურული ერთეულების უფროსების შემადგენლობით და რექტორის მოადგილის ხელმძღვანელობით), რომელიც უზრუნველყოფს წინამდებარე წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად

კურსდამთავრებულთა/სტატუსშეწყვეტილთა ინფორმირებისათვის შესაბამისი წინადადებების წარმოდგენას/ღონისძიებების გატარებას და ზედმეტად გადახდილი სწავლის საფასურის დაბრუნების პროცესის მონიტორინგს.

4. გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ასევე ბსუ-ს ოფიციალურ სოციალურ ქსელში) და ფაკულტეტების საინფორმაციო დაფებზე.
5. გადაწყვეტილება სტუდენტური პორტალისა და კურსდამთავრებულთა მონაცემთა ბაზების გამოყენებით ეცნობოს უფლებამოსილ პირებს (საჯარო გამოცხადება).
6. წინამდებარე გადაწყვეტილების შესახებ შესაბამის პირთა ინფორმირების მიზნით რექტორმა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა გაატარონ დამატებითი ღონისძიებები (საჭიროების შემთხვევაში გამოიცეს შესაბამისი სამართლებრივი აქტები).
7. გადაწყვეტილება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეებს, შესაბამის ფაკულტეტებს (იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტს, ტურიზმის ფაკულტეტს, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტს), სასწავლო პროცესის დეპარტამენტს (დიპლომების გაცემისა და რეესტრის სამსახურს), საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
8. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
9. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ბსუ-ს ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,

პროფესორი **დავით ბარათაშვილი**